ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3661145

ნომერი: AR1544869

თარიღი : 28.09.2017

გაცემის თარიღი : 06.11.2017

გაცნობის თარიღი : 08.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა სუჯაშვილი პ/ნ 01020012118
- თბილისი II ძმობის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ვინაიდან, საჯარო რეესტრიდან ამონაწერში გარკვეულ ფართზე ფიქსირდება სარგებლობა იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სარგებლობა ვადაგასულია, საჭიროა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის განახლება. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგინეთ მოიჯარის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოსთან დაკავშირებით ან მოიჯარე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

2. იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა ამავე განცხადებაში შესაბამისი ნომენკლატურით მოითხოვოთ ვიტრაჟის რეკონსტრუქცია.

3. ასევე საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო არეალის ჭრილი და გეგმა მოძრაობის სქემის დატანით საიდანაც ხდება შშმპ პირთა შესვლა შენობაში.

4. ყოველივე ზემაღნიშნული გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი მითითებული რეკომენდაციებს გათვალისწინებით,ყველა გაბარიტული ზომის, მასალისა და ნიშნულების ჩვენებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.